საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი

# ელადა

№14 (131)

ივლისი, 2008 წელი

გამოდის 2002 წლის დეკემბრიდან

Ελλάδα

საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთი

## მონატრების შეხვედრა





ქართველ მწერალთა დელეგაცია ემიგრანტებს ესტუმრა

2



## ნაიარევი სულის სალბუნი



„...მტკვარის წყალი ემბაზია, მთაწმინდა - მზეთუნახავი, ნარიყალა - ისტორია მარად მხურვალე“.

5

## სოხუმელი ემიგრანტის ახალი ქართული წიგნი



6

## სალონიკელებს მიწა ფეხქვეშ ეცლებათ

23

სალონიკში ჩატარებული სეისმოლოგიური კონფერენციის მონაწილე მეცნიერები თვლიან, რომ თუ ქალაქში მოხდება 6,5 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა, იქაურობას საშინელი კატასტროფა ემუქრება.

## მასწავლებელი „სკოლას“ ამთავრებს

„...დაივიწყე, რომ ხარ მარტო, რომ აკეთებ საქმეს, რომელიც შენ არ გიხდება და მოგწონს, იმღერე, მოუსმინე ჩიტების სტვენას და მოეფერეთ ერთმანეთს“...



13

## შენ რომ ხანჯლით დამჭერი, ის ჭრილობა მაცლის ღონეს...

10

ინტერვიუ
იზოლდა ბაიაშვილთან

## ჩერნობილი - რადიოენერგია კიდევ 100000 წლის მანძილზე

22

## დღეს საქართველოს შვილების გვერდით მყოფი დედები ენატრება!

9

## ლავრენტი ბერია - პატრიოტი თუ ტირანი?

16-17

გაზეთი „ელადა“ იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის, ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტ სერგის, ვანისა და ბაღდათის მთავარეპისკოპოს ანტონის ლოცვა-კურთხევით

# სოხუმელი ემიგრანტის ახალი ქართული წიგნი



ქალბატონი შორენა შენგელია 12 წელია, ათენში ცხოვრობს. ძლიერი ქალია და ამასთან, გულსათუთი, გულმხიანი, მეგობრების მტკიცე საყრდენი, მოყვარული. თავზე წისქვილის ქვა დატრიალა აფხაზეთის ომმა ახალგაზრდა სოხუმელ ქალს, ადრე დაობლებულს, დედმამიშვილებში უფროსს და მათ მოამაგეს... არასდროს გაბოროტებულა, არც ფარ-ხმალი დაუყრია ოდესმე. პატიოსანი ოჯახისა და მშობლებისაგან პატიოსნება ირგუნა წილად. ბევრჯერ გაუჭირდა: ჭუბერის უღელტეხილზეც, ალმოდებულ სოხუმშიც, თბილისშიც, ათენშიც... ახალ ცხოვრებას კიბე-კიბე აუყვა სწორედ მაშინ, როცა გულში მხოლოდ სოხუმში დაბრუნებისა და მისი სიყვარულის განცდა ჰქონდა ჩამარხული ჩაგნითიებული.

ვერ აუხდა დაბრუნება, თუმცა იმედით ცხოვრობს...

ახალ ცხოვრებას ახალი პრობლემები ახლდა, გაუთვითცნობიერებელი, უცხო, მისთვის მიუღებელიც, მაგრამ... ათენში ღვთის ანაბარად დარჩენილი სისხლის ნათესავივით შეიყვარა ილიასკუების ათენში კარგად ცნობილმა ოჯახმა, თვითონაც მშობლებივით ეფერებოდა ოჯახის უფროსსა და დიასახლისს. მათი შვილები ძმებივით დაუდგნენ გვერდით... ათი წელი გაატარა ამ ოჯახში, ამ ოჯახთან ერთად იცხოვრა, სიხარულიც ბევრი ნახა, სითბოც, სიყვარულიც, რამაც გადაატანინა უამრავი ტკივილი, დღეს რომ მოგონებებად ქცეულ წიგნად - „ფიქრები და რეალობა“ - გვაჩუქა არა მარტო მეგობრებს, არამედ მთელ საქართველოს.

შეეხები ამ წიგნს, გადაფურცლავ და უმალ მიხვდები, რომ ეს ჩვეულებრივი, ლამაზყდიანი წიგნი კი არ არის, ღრმად დასაფიქრებელია და გულში ჩასახუტებელი. ამ წიგნის წაკითხვისას ქინი შეგიპყრობს, უფლის დანაბარები მიაწვდინო აფხაზთა და ქართველთა შორის შუღლის მთესველთ: სანამ ჩემთან მოხვალ, ძმას შეურიგდიო...

წიგნის შესავალში ავტორი წერს: „მინდა, ჩემი ეს მოგონებები მივუძღვნა ილიასკუების იმ დიდ და ლამაზ ოჯახს, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჩემს ცხოვრებაში.




აფხაზეთში მოწყობილი კონფლიქტის და დაპირისპირებების გამო, მე და ჩემთან ერთად 300 ათასი ბედნიერად მცხოვრები აფხაზეთის მოსახლეობა ვიქეცით ლტოლვილებად, მათ შორის, უამრავი საქართველოში მცხოვრები ბერძენიც. მომეცა საშუალება, საბერძნეთში წამოვსულიყავი და შემეცვალა ჩემი როგორც ეკონომიკური, ასევე ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ათენში ბედმა მომახვედრა კონსტანტინე ილიასკუს საუკეთესო ოჯახში, რაც ალბათ ღვთის საჩუქარი იყო ჩემთვის. აქ გავატარე ჩემი შეგნებული ცხოვრების 12 წელიწადი; მართალია, უჩვეულო ამპლუაში, მაგრამ დიდი სიყვარულის გარემოცვაში. ასევე, მინდა ჩემი ეს მოგონებები ვუძღვნა ათენის ქართულ ინსტიტუტს, რომელიც ჩემთვის სულიერი საყდარი იყო უცხო ქვეყანაში.“

ქალბატონ შორენას ქართველი ემიგრანტები კარგად იცნობენ თავისი მშვენიერი ლექსებით, პუბლიცისტიკით აფხაზეთისა და იქ განვითარებულ მოვლენებზე.

„ფიქრები და რეალობა“ ყველას დაგვაფიქრებს ემიგრანტულ ყოფაზეც, გაძლების ელექსირზეც და იმ რეალობაზეც, რაც ჩვენს სამშობლოშია.

გულწრფელად ვულოცავთ შორენა შენგელიას „ფიქრები და რეალობის“ გამოცემას, ახალი სიტყვის თქმას ლიტერატურაში... წაიკითხოს ეს წიგნი ჩვენმა ხელისუფლებამ, წაიკითხოს ყველამ, ვისაც ისევ ძალიან სტკივა ამორძალის ძუძუსავით მოკვეთილი უაფხაზეთო საქართველო...

„ელადის“ მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ნაწყვეტები ამ წიგნიდან, თუნდაც ის ღია ბარათი, რომელსაც იგი ილია ილიასკუს სწერს...

**ანა ყურმაშვილი**

## ძვირფასო ილია!

ძალიან დიდი ხანია მაქვს სურვილი წერილი მოგწეროთ, გარდა ჩემი სურვილისა თავს ვალდებულად ვთვლი გაგრძნობინოთ ის მოწიწება, რაც მე თქვენი ოჯახის მიმართ მაქვს.

ჩემითქვენდამისიყვარულიდაპატივისცემაარასდროს დამიმალავს, ყოველთვის ხმამაღლა გამოვხატავდი, მაგრამ რასაც თქვენს მიმართ ვგრძნობ კიდევ უფრო ღრმად ამის გადმოცემას მხოლოდ ნაწერი შეძლებს, ისიც მაშინ დაწერილი, როცა ამას მუზა გკარნახობს. ჩემს წერილში ყველა სიტყვა მთელს თქვენს დიდ და ლამაზ ოჯახს ერთნაირად ეხება.

მე ბედნიერი ქალი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ თავი არც უბედურ ქალად მიმაჩნდა, რადგან ჩემს მძიმე ბედისწერასთან ერთად სულ მქონდა უზარმაზარი ძალა სიძნელეების ძლევისა, რაც ჩემში დიდ თვითკმაყოფილებას იწვევდა და ბედიერების განცდასაც მჩუქნიდა. ყოველთვის მიყვარდა თავისუფლება და ყველაფერზე საკუთარი დასკვების ქონა, ალბათ სხვა მრავალ მიზეზთან ერთად ესეც იყო და თვითონ მეც ვიყავი, იმის მიზეზი, რომ ჩემი ბედი ასე წარიმართა.

შეიძლება გაგეცინოთ, 10 წელიწადია თქვენს სახლში ჩაკეტილი ვარ და რომელ თავისუფლებაზე ვლაპარაკობ. არა და ესეც ჩემთვის ჩემი არჩევანი და ერთგვარი თავისუფლება იყო, რაღაც ახლის გაცნობა, სხვა განცდა, რამაც ბევრი რამ წამართვა და ბევრიც შემმატა. დაგროვილი გამოცდილებების გადმოსახედიდან ხშირად მეცოდება ჩემი თავი ამდენი წვალებისათვის, წლებიც უცებ გავიდა, მაგრამ ესეც ჩემი ხასიათის თავისებურებაა და ახალი ცხოვრება რომ მოეცა ვინმეს, მაინც ასე წარვმართავდი.

არასოდეს შემშურნია სხვისი კარგი, ადამიანს შესაძლებლობები უდიდესი აქვს, თუ მოინდომებს ყველაფერს მიაღწევს, ამიტომაც შიში არასდროს არაფრის მქონია, ვიცოდი ჩემს სამყოფს ყოველთვის მოვახერხებდი. ბევრი კი არასოდეს მჭირდებოდა.

ცხოვრება ერთადერთი რითაც მანებივრებდა ის იყო, რომ კარგ ადამიანებს მახვედრებდა, რომელთანაც ურთიერთობა, ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იყო. ასეთი ადამიანების საკმაოდ დიდ სიაში, ნომერ პირველები თქვენ ხართ, ბატონ კონსტანტინე და ქალბატონ ელენ ილიასკუების ეს ულამაზესი ოჯახი.

მართალია ძლიერი ვიყავი, მაგრამ ქალი მაინც ქალია ქალური სისუსტეებით, რაც თქვენ ყველაზე კარგად გესმით. ყველაზე დიდი შეცდომა ჩემი ალბათ ის იყო, რომ ყველაფერზე უფრო დიდ პასუხისმგებლობას ვიღებდი ვიდრე ეს მე მეკუთვნოდა. 14 წლისას მამა მომიკვდა, სამსახურში ძალიან ადრე დავწინაურდი, წარმოებას თითქმის 23 წლიდან ვმართავდი, დიდ სამუშაოს ვასრულებდი და ადამიანებთან ურთიერთობებზე პასუხისმგებელი ყოველთვის მე ვიყავი, 30 წლისა უკვე ვხელმძღვანელობდი ამ ნამდვილად მნიშვნელოვან წარმოებას, სადაც აბრეშუმის ძაფისთვის პროდუქცია მზადდებოდა. ყოველივე ამან განაპირობა ჩემი ხასიათის ასე ჩამოყალიბება, საზოგადოების სიყვარულს და ქებას მიჩვეული ნამდვილად ვიყავი, მიუხედავად ყოველივე ამისა, ყოველთვის მაკლდა ჩემზე მზრუნველი ადამიანი და ასე ვიქეცი ლტოლვილად იმ უბედური ომის შემდგომ, რომელმაც წამართვა ყველაფერი, ის ელემენტარულიც კი, რომელიც ჩემით ვაშენე და მივაღწიე. მე თქვენთან უკვე დაცემული მოვედი, მაგრამ საბერძნეთში მეგობრის სიყვარულმა და სიბრალულმა ჩამომიყვანა, თან ჩემი მდგომარეობის შეცვლა მინდოდა, ადგილი არ მყოფნიდა, დუხჭირ ყოფას მთელი ქვეყნისას ვერ ვეგუებოდი და ასე, განადგურებულს, მთელი ქვეყანა თავზე რომ დამექცევა და გამოუძვრები, მეც ასე გამოვეპარე ამ ცხოვრებას და ღვთის ნებით, ბევრი განსაცდელის შემდეგ მოვხვდი კონსტანტინე ილიასკუს ოჯახში, რომელიც, მეტსაც გეტყვით, თავიდან შიშს მგვრიდა, რადგანაც ჩემთვის ყველაფერი უცხო იყო, ასე